**საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია**

**ეთიკის კომისიის**

**გადაწყვეტილება**

**დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე**

**მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

ოთარ კაჭკაჭაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი -** თ. ა.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 17.10.2022

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** №091/22

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ გ. ტ.-ის /სიითი №/ მიმართ

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ გ. ტ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 17 ოქტომბერს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა თ. ა.-მა, ადვოკატ გ. ტ.-ის წინააღმდეგ. 2022 წლის 27 ოქტომბრის საპროცესო სხდომაზე თ. ა.-მა მხარი დაუჭირა საჩივარში მითითებულ პრეტენზიებს.

1.2 საჩივრის განმარტებით, რომ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ დავაში მისი მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი არის გ. ტ. რომელთანაც მოსარჩელეს რამდენჯერმე ჰქონდა სატელეფონო საუბარი; ასევე, მათ შორის კომუნიკაცია შედგა სოციალური პლატფორმის „Viber"-ის მეშვეობით, „სმს" შეტყობინებების სახით.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მაშინ, როდესაც მას მიეცა შესაძლებლობა ხელშეკრულებით არსებული ვალი გაესტუმრებინა მევახშესთვის, მოლაპარაკების მიზნით

სოციალური ქსელის მეშვეობით მიწერა ადვოკატ გ. ტ.-ს, რომელმაც მას პასუხი არ გასცა. ვინაიდან, ადვოკატი გ. ტ. არ გამოდიოდა უკუკავშირზე, მან უშედეგოდ სცადა დაკავშირება უშუალოდ ადვოკატ გ. ტ.-ის კლიენტთან. მომდევნო დღეს საჩივრის ავტორს დაუკავშირდა ადვოკატი გ. ტ. და მიაწოდა თანხასთან დაკავშირებული ინფორმაცია. თ. ა.-ის განმარტებით, ადვოკატის პასუხი იყო ორაზროვანი და ამიტომ მან რამდენჯერმე დაუსვა შეკითხვა ადვოკატს, რათა მიეღო ზუსტი პასუხი. აღნიშნულს ადვოკატ გ. ტ.-ის მხრიდან მოჰყვა აგრესიული რეაქცია, კერძოდ, ადვოკატმა უყვირა საჩივრის ავტორს და გაუთიშა ტელეფონი. ამ საუბრიდან მცირე დროის გასვლის შემდეგ, მისი თხოვნის მიუხედავად, ადვოკატი განუწყვეტლივ განაგრძობდა მასთან რეკვას და რადგან თ. ა.-ს არ ჰქონდა შესაძლებლობა პასუხი გაეცა ადვოკატისათვის, მან ხმოვანი შეტყობინება გაუგზავნა ადვოკატს იგივე თხოვნით - რომ ახლა ვერ უპასუხებდა, თუმცა უშედეგოდ.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, შემდეგი სატელეფონო საუბრისას, ადვოკატი მას არ აცდიდა საუბარს, ესაუბრებოდა ისევ აგრესიულად და მისი მისამართით გააჟღერა ფრაზა - „ნუ მაიმუნობ“. საჩივრის ავტორის განმარტებით, ამავე სატელეფონო საუბრისას ადვოკატმა გ. ტ.-მა შეურაცხყოფა მიაყენა მის ადვოკატებსაც, რადგან მათი მისამართით თქვა ფრაზა: „ეხლა დამირეკოს შენმა ადვოკატმა და მაგასაც შეგისვავ ვირზე“.

**2. ადვოკატის პოზიცია:**

2.1 ადვოკატმა გ. ტ.-მა 2022 წლის 01 ნოემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ საჩივარი აგებულია დაუსაბუთებელ არგუმენტებზე. ადვოკატის განცხადებით, თ. ა.-ს საჩივარზე უარი უნდა ეთქვას უსაფუძვლობის გამო.

2.2 ადვოკატის განცხადებით, მას სურს ეთიკის კომისიამ საკითხი განიხილოს მისი დასწრების გარეშე.

## II სამოტივაციო ნაწილი

**3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:**

3.1 ადვოკატი გ. ტ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 თ. ა.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2022 წლის 17 ოქტომბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

**4. შემაჯამებელი დასკვნა:**

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. ტ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

**5. სამართლებრივი შეფასება:**

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის, ადვოკატ გ. ტ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: მათ შორის საქმესთან დაკავშირებით რამდენიმე სატელეფონო კომუნიკაციისას, რომელიც შედგა სოციალური ქსელის „Viber"-ის მეშვეობით, ადვოკატი მას მიმართავდა უხეში, შეურაცხმყოფელი ტონით - უყვიროდა; ერთ-ერთი კომუნიკაციისას ადვოკატმა უთხრა ფრაზა „ნუ მაიმუნობ"; ასევე ადვოკატმა მასთან საუბრისას შეურაცხყოფა მიაყენა მის ადვოკატებს - თავის კოლეგებს, რაც გამოიხატა ადვოკატ გ. ტ.-ის მიერ ნათქვამი ფრაზით: „ეხლა დამირეკოს შენმა ადვოკატმა და მაგასაც შეგისვავ ვირზე".

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ გ. ტ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის ფაქტზე:

5.2.1 ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის მონაწილეთა უფლებები („ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 5 (გ) მუხლი).

5.2.2 ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს;ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 9.1 და 9.4).

5.3 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა."

5.4 „ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე სასამართლო დარბაზის გარეთ, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს" (ეთიკის კომისიის 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე N075/10).

5.5 „ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის იმ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან" (ეთიკის კომისიის 2014 წლის 02 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N114/13).

5.6 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე და სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. მაშინ როდესაც, მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული

მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს. „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“ (სუსგ დს/შ10-13, 16.10.2013).

5.7 საპროცესო კოლეგია მტკიცების ტვირთის განსაზღვისთვის ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“

5.8 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. ადვოკატი თ. ა.-სთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს სადავოდ ხდის. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიას წარუდგინოს საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატ გ. ტ.-ის მიერ თ. ა.-სთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი, სწორედ საჩივრის ავტორის - თ. ა.-ის სამტკიცებელია.

5.9 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ როდესაც საჩივრის ავტორი დავობს ადვოკატის მიერ მისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე, მას ეკისრება მოპასუხე ადვოკატის სადავო ქცევის დადასტურება, შესაბამისად, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით კომისიას უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი, რომ სადავო ქმედება, რაც სამართლებრივად უნდა შეაფასოს ეთიკის კომისიამ, განახორციელა მოპასუხე ადვოკატმა.

5.10 საჩივრის ავტორმა საპროცესო კოლეგიას თავისი პოზიციის დასადასტურებლად წარმოუდგინა მტკიცებულება - 3 აუდიო-ვიდეო ჩანაწერი. თუმცა, კომისია არ აფასებს მომჩივანის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებას, რადგან აღნიშნული ჩანაწერების ავთენტურობა სადავოა, კერძოდ: თ. ა.-მა ჩანაწერებთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული ჩანაწერი გააკეთა თავად - საუბრობდა ტელეფონით და ჩანაწერი გააკეთა სხვა ტექნიკური მოწყობილობით. კოლეგიის შეფასებით, ჩაწერა მიმდინარეობდა ფარულად - ადვოკატის წინასწარი ინფორმირების გარეშე; ორ ჩანაწერში ისმის ორი ადამიანის ხმა - მამაკაცის და ქალბატონის, თუმცა ხმის ადრესატთა ვინაობა კომისიისათვის უცნობია; მესამე ჩანაწერი წარმოადგენს ხმოვან შეტყობინებას, ე.წ. „ვოისს“. აღნიშნულ გარემოებათა ერთობლიობით, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ჩანაწერები კომისიამ მტკიცებულების სახით არ გაიზიარა, რადგან ჩანაწერთა ავთენტურობა არ დადასტურდა.

5.11 საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიას თავისი პოზიციის გასამყარებლად წარმოუდგინა სქრინები, რომელიც მისი განმარტებით, წარმოადგენს მისი და ადვოკატის კომუნიკაციის მტკიცებულებას და განხორციელებულია სოციალური ქსელით „Viber“-ის მეშვეობით.

კომისიის შეფასებით, აღნიშნული მიმოწერით ძირითადად ადვოკატს ინფორმაციას აწვდის თ. ა. და მიმოწერა, საჩივრის ავტორისათვის შეურაცხმყოფელ შინაარსს არ შეიცავს.

5.12 განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს, ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც კომისიას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაარწმუნებდა ადვოკატ გ. ტ.-ის მიერ მისთვის ან მისი წარმომადგენლებისათვის შეურაცხოფის მიყენების ფაქტს. შესაბამისად, ადვოკატ გ. ტ.-ს არ დაურღვევია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 9.1 და 9.4.

## III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №091/22 ადვოკატ გ. ტ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/